

ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ტურიზმი (Tourism)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

ტურიზმის ბაკალავრი
Bachelor of Tourism

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა:

240 კრედიტი

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება: საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების, შიდა/გარე მობილობის განხორციელების და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის მიზანი

საქართველოს ეკონომიკაში ტურიზმის გაზრდილი როლი და ადგილი, საქართველოში ტურისტული ბიზნესის განვითარება, ტურიზმის სფეროს მრავალფეროვნება, სხვადასხვა ტიპის ტურისტული ფირმების შექმნა, მათი საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის და ტურისტული მომსახურების ხარისხის ამაღლების აქტუალურობა, ტურისტული ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნები, მოითხოვს კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებას, რომელიც შეძლებს საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში ტურიზმის სხვადასხვა სახეობების განვითარების ხელშეწყობას, მათი თავისებურებების გათვალისწინებას, ხარისხიანი ტურისტული მომსახურების უზრუნველყოფას და სხვადასხვა ტურისტულ ორგანიზაციაში, კომპანიაში ან ფირმებში წარმატებულ პრაქტიკულ საქმიანობას. აქედან გამომდინარე "ტურიზმის" საბაკალავრო პროგრამის მიზანია მომზადდეს შიდა და საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი ტურიზმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტი, რომელსაც ექნება ტურიზმის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული საკითხების, ტურიზმის ეკონომიკის, მენეჯმენტისა და მარკეტინგის, ტურისტული ბაზრის თავისებურებების, ტურიზმის სამართლებრივი საკითხების, დარგის კონკურენტუნარიანობის, მსოფლიო და ეროვნული ტურისტული ინდუსტრიის ფუნქციონირების აქტუალური პრობლემების შესახებ ფართო ცოდნა. გარდა ამისა, ისინი შეძლებენ შემოქმედებითად მიუდგნენ მუდმივად ცვალებადი სამყაროს კარიერულ გამოწვევებს, გამოავლინონ დარგობრივი და ტრანსფერული უნარები პროფესიული მოვალეობების შესრულების, ცოდნისა და კომპეტენციების მუდმივი განახლების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის საკითხებში. ჩამოუყალიბდეთ ეროვნული

ტრადიციების და დემოკრატიული ღირებულებების, ასევე ევროპული უნივერსიტეტების დიდი ქარტიით განსაზღვრულ თავისუფლების, დამოუკიდებლობის და ეთიკური ნორმების დაცვისა და ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის მოტივაცია, სოციალური და მოქალაქეობრივი პოზიცია, პროფესიული და პიროვნული პასუხისმგებლობა, რათა ტურიზმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირმა შეძლოს ტურიზმის სფეროში მიმდინარე პროცესების გაანალიზება, შეფასება, პრიორიტეტების ადეკვატურად განსაზღვრა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღება, თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარების და კომპეტენციების გამოყენება ტურიზმის სფეროში მუშაობისას ან საზოგადოებრივი საქმიანობის დროს პროფესიული ზრდა.

პროგრამის სტრუქტურა

”ტურიზმის” საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია ტურიზმის ბაკალავრის საქმიანობისთვის საჭირო კომპეტენციების მიღწევის უზრუნველყოფაზე. ”ტურიზმის” საბაკალავრო პროგრამით ბაკალავრის მომზადება მიმდინარეობს ძირითადი (სპეციალობის) ცოდნისა და დამატებითი (ხელშემწყობი) ცოდნის სასწავლო კომპონენტების მეშვეობით. ძირითადი ცოდნის საკითხებს მოიცავს ტურიზმის ბაკალავრის საქმიანობისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებისათვის საჭირო სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები, პრაქტიკა და სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომი სპეციალობაში. დამატებითი ცოდნის საკითხებს მოიცავს ბაკალავრის საქმიანობის ხელშემწყობი საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები და თავისუფალი კომპონენტები. თავისუფალ კომპონენტებში მოიაზრება საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსები და თავისუფალი სასწავლო კურსები/კრედიტები, რომელთა არჩევა შესაძლებელია ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმიდან. აქედან გამომდინარე, თავისუფალი კომპონენტების არჩევით (კონცენტრაციით) სტუდენტს თვითონაც შეუძლია ინდივიდუალური პროფილის ფორმირება. საბაკალავრო პროგრამის კომპონენტები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად ბაკალავრის კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას.

”ტურიზმის” საბაკალავრო პროგრამა

240 კრედიტი:

სავალდებულო კომპონენტები:

190 კრედიტი

საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები:

10 კრედიტი

უცხო ენის კომპონენტი (ზოგადი)

40 კრედიტი

სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები:

120 კრედიტი

პრაქტიკა

10 კრედიტი

საბაკალავრო ნაშრომი სპეციალობაში:

10 კრედიტი

თავისუფალი კომპონენტები:

50 კრედიტი

არჩევითი სასწავლო კურსები;

თავისუფალი სასწავლო კურსები.

შენიშვნა: არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა ხდება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია არჩევითი სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობები და თანმიმდევრობა. თავისუფალი სასწავლო კურსები/კრედიტები, რომლებიც მოიაზრება საბაკალავრო პროგრამის თავისუფალ კომპონენტებში, სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმიდან, არჩევანის ერთადერთ შეზღუდვას წარმოადგენს სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობის არსებობა.

სწავლის შედეგები

საბაკალავრო პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების საფუძველზე უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>ბაკალავრს აქვს ფართო ცოდნა:</p> <ul style="list-style-type: none"> • ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დებულებების, კონცეფციების და ძირითადი პრინციპების. • ტურიზმის დარგობრივი ტერმინოლოგიის, კონცეფციების, ძირითადი ცნებების და დეფინიციების ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. • ზოგადი გეოგრაფიული კანონზომიერებების, მსოფლიოს ტურისტული პოტენციალის და მისი განვითარების პერსპექტივების, მსოფლიოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და ტურისტული ორგანიზაციების შესახებ. • საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების თავისებურებების, ბიოლოგიური მრავალფეროვნების, მათ შორის დაცული ტერიტორიების და კურორტების შესახებ. • ტურიზმის განვითარების გლობალური და რეგიონული ასპექტების, საერთაშორისო ტურიზმის დარგობრივი სტრუქტურის, საერთაშორისო ტურიზმის გარემოს, მსოფლიო ტურისტული ბაზრის შესახებ. • ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის. • სასტუმრო მომსახურების სტანდარტებისა და სერტიფიკაციის.
-------------------------------------	---

	<ul style="list-style-type: none"> • ტექნოლოგიური რუკის შედგენის პრინციპების, ექსკურსიის სტრუქტურის, მისი მომზადებისა და ჩატარების თავისებურებანის შესახებ. იცის საექსკურსიო ფირმის სტრუქტურების, უფლებამოსილებების და საქმიანობის სპეციფიკა. • ტურისტული მარშრუტების დაგეგმვისა და მიმზიდველი ტურისტული პროდუქტის შექმნის და მომხმარებელთა სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ. <p>ბაკალავრი აცნობიერებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიზნესის ფუნქციონალურ სფეროების (ზოგადი მენეჯმენტი, მარკეტინგი, ბუღალტერია) პრაქტიკულ მნიშვნელობას და მათ ურთიერთქმედებას ტურიზმში. • ტურიზმის დარგობრივი სტრუქტურის, მიმართულებების, ტურისტული ფირმების საქმიანობის პრიორიტეტებს და მათ როლს ტურიზმის განვითარებაში. • ტურისტთა განთავსების ობიექტების მენეჯმენტის თავისებურებებს და ორგანიზაციულ-ფუნქციონალურ სტრუქტურას. • გიდის უფლებებს და კომპეტენციებს და მის მნიშვნელობას ექსკურსიის ჩატარებისას. • ტურისტული ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებებს და ტურისტული საქმიანობის რეგულირების მექანიზმებს; • ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში ტურიზმის, როგორც პრიორიტეტული დარგის, ეკონომიკური ინტეგრაციისა და გლობალიზაციის ფაქტორის ადგილისა და როლის მნიშვნელობას.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>ბაკალავრს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტურისტული ფირმის/საწარმოს ბიზნეს-საქმიანობის დაგეგმვის, ორგანიზების, კონტროლის მექანიზმების ცოდნა და პრაქტიკულად გამოყენება; • ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული ბიზნეს-პროექტების შემუშავება ტურისტული საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების ნორმების შესაბამისად; • ტურისტული საწარმოს საქმიანობაში მონაწილე სამუშაო ჯგუფში საქმიანობა და სამუშაოს შესრულება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; • ტურისტულ მომსახურებასთან დაკავშირებული დოკუმენტების და ინფორმაციის დამუშავება, ინტერპრეტაცია და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ანგარიშების მომზადება; • ტურისტულ ორგანიზაციაში მენეჯმენტის ოპტიმიზაციის მიზნით

	<p>შესაბამისი ღონისძიებების მომზადებაში, ადეკვატური რესურსების და ინსტრუმენტების გამოყენებასა და წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრაში მონაწილეობა;</p> <ul style="list-style-type: none"> • ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით საქართველოსთვის პერსპექტიული ქვეყნების ეკონომიკური, პოლიტიკური, ეროვნულ-კულტურული თავისებურებების შესახებ მონაცემების გამოყენება; • პრაქტიკული დაკვირვებების საფუძველზე, შეუძლია ტურისტული ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის ამდლების მიზნით მიიღოს მონაწილეობა ღონისძიებების დაგეგმვაში, გამოიცნოს ტურისტული პროდუქტის მომხმარებელთა ქცევის თავისებურებები, განსაზღვროს ტურისტულ ბაზრის შესაძლებლობები და მიიღოს მონაწილეობა მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელებაში; • შეუძლია ტურისტულ-საექსკურსიო სტანდარტებისა და ტერმინოლოგიის გამოყენება, სხვადასხვა ტიპის ტურისტული, მარშრუტების, დაგეგმვა და განხორციელება ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; • ტურისტულ-საექსკურსიო და სასტუმრო მომსახურების ეფექტიანი პროგრამების შემუშავება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად; • საქართველოს საექსკურსიო მარშრუტების თემატიკაში, თემატური, მიმოხილვითი და კომპლექსური ექსკურსიების მომზადება და ჩატარება. • ეკოტურისტული რესურსების გამოყენება ტურისტული პროდუქტის ფორმირებისას. • ბიზნეს-პროექტების, ტურიზმის-სტრატეგიების დაგეგმვაში და ახალი ტურისტული პროდუქტის წარმოებაში მონაწილეობა.
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>ბაკალავრს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • პრობლემების იდენტიფიცირება, ანალიზი და გადაჭრის ალტერნატიული გზების შერჩევა-გამოყენება, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; • ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების საფუძველზე საბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; • ტურიზმის სტატისტიკური მონაცემების და ინფორმაციის შეგროვება, დაჯგუფება, ანალიზი და სინთეზი; • ტურისტული ორგანიზაციის ბიზნეს-საქმიანობის შესწავლა, ბიზნეს-გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის მოგროვება, ანალიზი და არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბება;

	<ul style="list-style-type: none"> • ტურიზმის სფეროში ბიზნეს-საქმიანობის რეგულირების პრაქტიკული მექანიზმების ეფექტიანობის ანალიზი და შეფასება; • ტურიზმში მარკეტინგული შესაძლებლობების გაანალიზება და გამოყენება; მომხმარებლის ქცევისა და მოთხოვნის შესწავლა, პროგნოზირება და რეკომენდაციების შემუშავება; • ტურიზმის სფეროში რისკების შეფასება და მათი შემცირების გზების დასახვა; • ბიზნეს-გეგმისათვის აუცილებელი ინფორმაციის ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>ბაკალავრს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • იდებოს, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების, წინადადებისა და მოსაზრებების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით გადაცემა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე; • რუსულ და ინგლისურ ენაზე დიალოგის წარმართვა, საქმიან დისკუსიაში მონაწილეობა, სხვადასხვა თემაზე საუბარი და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, დასაბუთება და მოსაზრებების გადმოცემა; • ტურისტული ორგანიზაციის საქმიანობის საკითხებთან დაკავშირებული წერილობითი მოხსენების ან/და პროექტის მომზადება და ზეპირი პრეზენტაცია; • ეფექტიანი ურთიერთობა შესაბამისი სახელმწიფო, არასამთავრობო, კერძო ორგანიზაციებთან, ტურისტულ ფირმებთან, საგადასახადო და საბაჟო ორგანოებთან, ტურისტული ინდუსტრიის მართვის სტრუქტურებთან საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში; • თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება, საინფორმაციო ბაზებთან, პროგრამებთან, ელექტრონულ დოკუმენტებთან, მონაცემთა ბაზებთან მუშაობა კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად; • კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება საქმიანი დოკუმენტების/ანგარიშების შედგენის მიზნით.
<p>სწავლის უნარი</p>	<p>ბაკალავრს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის და სხვადასხვა რესურსის, მათ შორის საინფორმაციო ტექნოლოგიების და დარგობრივი ლიტერატურის, გამოყენება პრაქტიკული საქმიანობისას შეძენილი ცოდნის და პრაქტიკული უნარების სრულყოფისა და მუდმივი განახლების მიზნით;

	<ul style="list-style-type: none"> • საკუთარი და სხვათა პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინება პრაქტიკული უნარების სრულყოფის მიზნით; • შეუძლია ტურიზმის სფეროში ახალ ტექნოლოგიათა დამოუკიდებლად ათვისება შემდგომი პროფესიული განვითარების მიზნით. • საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება; • მოწინავე საერთაშორისო გამოცდილების გამოყენების და ინოვაციების გათვალისწინების აუცილებლობის გაცნობიერებისა და ბაკალავრიატში მიღებული კომპეტენციების სრულყოფის საფუძველზე საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.
<p>ღირებულებები</p>	<p>ბაკალავრს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • პროფესიული, სოციალურ-ეთიკური ნორმების ცოდნა და მათი დაცვა; • პატივისცემა მიმღები ქვეყნის ხალხის კულტურისა და ტრადიციების მიმართ; • კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემა; • პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევათა/ცოდნის შეფასება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტების მიხედვით:

- სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (მაქს.100 ქულა) სისტემით. სასწავლო კომპონენტის შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას (მაქს 40 ქულა). შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50 პროცენტია. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.
- შეფასების ფორმები, კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია ბაკალავრებისთვის.

შენიშვნა: შუალედური შეფასების ქულა შეიძლება იყოს განსხვავებული სასწავლო კურსის სპეციფიკისა და სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორის მოსაზრებიდან გამომდინარე, შეფასების მეთოდები, ფორმები, კრიტერიუმები და შესაბამისი ქულები მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

პრაქტიკა: აღნიშნული სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება პრაქტიკის ხელმძღვანელის და მენტორის დახასიათების გათვალისწინებით ბაკალავრის მიერ მომზადებული და დაცვის მიზნით კომისიის წინაშე წარმოდგენილი პრაქტიკის ანგარიშის საფუძველზე. პრაქტიკის ანგარიში ფასდება პრაქტიკის ხელმძღვანელის/მენტორების მიერ (მინ. 21, მაქს. ქულა - 60) და პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია კომისიის მიერ (მინ. 20 ქულა, მაქს. ქულა - 40). პრაქტიკის ანგარიშის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით კანონმდებლობით დადგენილი სტუდენტთა მიღწევათა შეფასების სისტემის შესაბამისად. მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა. პრაქტიკის ხელმძღვანელის/მენტორის მიერ პრაქტიკის ანგარიშის შეფასების და კომისიის მიერ პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია პრაქტიკის სილაბუსში.

საბაკალავრო ნაშრომი: აღნიშნული სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნის გათვალისწინებით რეცენზენტის შეფასებისა (მინ. 21 ქულა, მაქს. 60 ქულა) და საჯარო დაცვის (მინ. 20 ქულა, მაქს. 40 ქულა) ქულათა ჯამით. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა სავალდებულოა. სტუდენტის მიერ მომზადებული და დაცვის მიზნით საკვალიფიკაციო კომისიის წინაშე წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომის შეფასების საფუძველზე. დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა, ხოლო მაქსიმალური - 100 ქულა. რეცენზენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომის შეფასების და კომისიის მიერ დაცვის პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში და ხელმისაწვდომია ბაკალავრებისათვის.

სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევათა/ცოდნის შეფასების სისტემა

უნივერსიტეტში შემოღებულია სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა. შეფასებათა მაქსიმალური ჯამური ქულა (%) უდრის 100;

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა (საბაკალავრო ნაშრომის/პრაქტიკის ანგარიშის დაცვა) დაინიშნება დასკვნითი გამოცდის (საბაკალავრო ნაშრომის/პრაქტიკის ანგარიშის დაცვის) შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ნიშანი F (ჩაიჭრა) მიღების შემთხვევაში სტუდენტი ხელმეორედ შეისწავლის სასწავლო კურსს (ახლიდან ექნება წარმოსადგენი საბაკალავრო ნაშრომი/ახლიდან ექნება პრაქტიკა გასავლელი) და ჩააბარებს გამოცდას (დაიცავს საბაკალავრო ნაშრომს/პრაქტიკის ანგარიშს).

